ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
BAGHDATI MUNICIPALITY GOVERMENT
HALL

ბრძანება:№66. 66223212
თარიღი:17/11/2022

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-13 და 48-ე მუხლების შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2023- 2027 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით:

ა. შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით.

1.დავით სილაგაძე-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-ჯგუფის უფროსი.
2.დავით მშვილდაძე-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკის სამსახურის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განყოფილების ხელმძღვანელი-სამუშაო ჯგუფის კორდინატორი.
3.ქეთევან კარკაძე-ეკონომიკის სამსახურის უფროსი-ჯგუფის წევრი.
4.ზაზა ზივზივაძე-ბაღდათის საკრებულოს, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე-სამუშაო ჯგუფის წევრი.
5. ეკატერინე მშვილდაძე-ადმისტრაციული სამსახურის,საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი-სამუშაო ჯგუფის წევრი.
6. ლერი გუმბერიძე-საფინანსო, საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-სამუშაო ჯგუფის წევრი.
7.მამუკა ხურციძე-ზედამხედველობის სამსახურის უფროსი-სამუშაო ჯგუფის წევრი.
8.თინა აბულაძე-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივი დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი-სამუშაო ჯგუფის წევრი.
9.ამბერკი რობაქიძე-ა.ა.ი.პ ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების დირექტორი-სამუშაო ჯგუფის წევრი.
10.თეიმურაზ გეგეშიძე-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-სამუშაო ჯგუფის წევრი.
11.ალექსანდრე წიქორიძე-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკის სამსახურის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-სამუშაო ჯგუფის წევრი.
12.გიგა ლომინაძე-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკის სამსახურის, ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივი დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-სამუშაო ჯგუფის წევრი.
13.მაია გოგნაძე-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკის სამსახურის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის განყოფილების კონსულნტანტი-სამუშაო ჯგუფის წევრი.

ბ. სამუშაო ჯგუფს დაევალოს შემჭიდროებულ ვადებში ბაღდათის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2023 - 2027 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება და წარდგენა შემდეგი აქტივობების შესაბამისად:

1. არსებული მდგომარეობის გასაზღვრა და შეფასება:
ნარჩენების იმ ნაკადების განსაზღვრა, რომელთა მართვა ხდება მუნიციპალიტეტის მიერ;
ნარჩენების მართვის არსებული სერვისის დახასიათება და ნაკლოვანებების იდენტიფიცირება;
მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის მთლიანი ხარჯის განსაზღვრა; ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერებისა და დამოკიდებულების შესწავლა. მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან შეხვედრების ჩატარება და პრობლემების იდენტიფიცირება მათ მიერ;
არსებული ან დაგეგმილი ეროვნული და რეგიონული პროგრამების ან ინფრასტრუქტურის განსაზღვრა, რომელიც გავლენას მოახდენს მუნიციპალური ნარჩენების მართვის მიდგომაზე.

გ. ალტერნატივების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება:

ნარჩენების მართვის პრიორიტეტების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის მომდევნო 5 წლისათვის;
ნარჩენების გენერირების პროგნოზირება;
ნარჩენების შეგროვების სერვისის დაფარვის არეალისა და ეფექტიანობის გაზრდის ალტერნატიული გზების განსაზღვრა;
მუნიციპალიტეტში ნარჩენების გადამუშავებისა და აღდგენის გზების/ საშუალებების განსაზღვრა;
საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების განათლებისა და ნარჩენების მართვაში ჩართულობის ამაღლების ეფექტიანი გეგმის შემუშავება.

დ. გეგმის შემუშავება.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დოკუმენტის შემუშავება;
მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის საჯარო განხილვა;

ე. შემუშავებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმისა და დადგენილების პროექტის საკრებულოში განსახილველად წარდგენა.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოში (მის: ქ.ბაღდათი ვაჟა ფშაველას ქუჩა N 7), მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში.

დავით სილაგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია-ბაღდათის
მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი